დამხმარე მასალა 3

"სამყაროთა ომის" ინსცენირების ფრაგმენტის ტექსტი

მიდიხართ მანქანით და უსმენთ რადიოს. ეთერი წყდება და ისმის წამყვანის ხმა.

წამყვანი: ახლახანს შეგვატყობინეს, რომ პრინსტონის ობსერვატორიის პროფესორ-ასტრონომმა მარსის ზედაპირზე ძალიან უცნაური აფეთქებები შენიშნა. მისი სიტყვებით, მარსიდან დედამიწის მიმართულებით უცნაურად დიდი სხეული მოძრაობს. ახლახანს, ჩვენთან კავშირზე გამოვიდა ჩვენი კორესპონდენტი, რომელიც იტყობინება, რომ მარსიდან გიგანტური მეტეორიტი სოფელ გროვერს-მილის სიახლოვეს (რომელიც 8 კმ-ით არის დაშორებული პრინსტონიდან) დაეცა.

კორესპონდენტი: ეს უზარმაზარი კრატერია, აქ ბევრი მსხვერპლია, ცნობისმოყვარე ადამიანების მასას პოლიცია შლის. ჩემს გვერდით ის ფერმერი დგას, რომლის მინდორზეც მეტეორიტი დაეცა.

ფერმერი: ჩემს მინდორზე მეტეორიტი დაეცა! გარდაცვლილი აიან მეზობლები, პირუტყვი დაიხოცა, მოსავალი განადგურდა.

კორესპონდენტი: მოიცათ! ეს მეტეორიტი არ არის. ეს მეტალის უზარმაზარი ცილინდრია, რომელსაც მასიური სახურავი ნელ-ნელა ეხდება. სახურავის ქვემოთ გამოჩნდნენ უცნაური არსებები, რომლებიც მიწაზე ეშვებიან და ცილინდრიდან გაურკვეველი აღჭურვილობა გადმოაქვთ. ღმერთო! ეს ხომ იარაღია! ისინი უშვებენ სხივებს და ირგვლივ ყველაფერს ანადგურებენ - ნაცარტუტად აქცევენ.

წამყვანი: ალლო! გესმით ჩემი? ალლო! საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ხელისუფლებამ გროვერს-მილისკენ რეგულარული ჯარის მობილიზება მოახდინა, მარსიანელთა ცილინდრის დაცემის ტერიტორიის გარშემოსარტყმელად. ქვედანაყოფის მეთაურმა სასწრაფოდ იმ ტერიტორიის დატოვება მოითხოვა, სადაც შესაძლებელია, მარსიანელების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები დაიწყოს. თავის მხრივ, შინაგან საქმეთა მინისტრი სიმშვიდისაკენ მოგვიწოდებს. "ჯარი და პოლიცია ყველაფერს აკონტროლებს, "- აცხადებს ის.

კორესპონდენტი: მარსიანელებმა თავიანთი იარაღი გამოიყენეს, რომლითაც ჯარის კორდონი და სოფელი გადაბუგეს. სახლები ყველგან იწვის. არის უამრავი მსხვერპლი. ხალხი გარბის, დამალვას ცდილობს…

ხმა: ეი, არის აქ ვინმე?არის აქ…

კავშირი წყდება.